№1791 2015 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) დაფინანსებით მიმდინარე, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში (ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთი) JICA-იდან მისაღები სესხის ფინანსური პირობების შესახებ

მოწონებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადება იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) დაფინანსებით მიმდინარე, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში (ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთი) JICA-იდან სესხის მიღების შესახებ, შემდეგი ფინანსური პირობებით (ზოგადი ფინანსური პირობები):

სესხის ოდენობა:	დაახლოებით 4,411 მილიონი იაპონური იენი (აქედან დაახლოებით 390 მილიონი იაპონური იენი საკონსულტაციო მომსახურება);

სესხის ხანგრძლივობა:	25 წელი (მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი 7 წელი);
საპროცენტო განაკვეთი:	ფიქსირებული;
საპროცენტო განაკვეთის ოდენობა:	1.4% წლიურად (გამონაკლისია საკონსულტაციო მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხა, რომელსაც ერიცხება 0.01% წლიურად);
ადმინისტრირების საკომისიო:	0.2%.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**